ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის გაერთიანებული სხდომის ოქმი #42

22 მაისი, 2020 წელი
15:00 საათი
(კომისიის თავჯდომარის ოთახი)

ა/წ 22 მაისს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. თამარ ტალიაშვილი;
4. ფრიდონ ინჯია;
5. მიხეილ ამაშუკელი;
6. ვლადიმერ ძნელაძე.

მოწვეული სტუმრები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის“ ქვეპორგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი. კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს - ინფორმაცია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის“ ქვეპორგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე (წერილი: 12-03201423-03 (01-01201412219) 20/05/2020).

პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მტკიცდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის“ ქვეპორგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“დადგენილების პროექტი (შემდგომში - პროექტი) .

პროექტის პირველი მუხლით დამტკიცებული წესი განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა“ (კოდი: 06 02 28) (შემდგომში – ქვეპროგრამა) ფარგლებში დაფინანსების განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. წესის მიზანს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში შშმ) პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და კულტურულ - შემოქმედებით ღონისძიებებში ჩართვა. წესის თანახმად, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმღები შესაძლეებლია იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე - შშმ პირი, რომელიც რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განცხადების წარდგენის მომენტისათვის არანაკლებ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ პერიოდში შეუწყდა და კვლავ განუახლდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია და ამგვარი შეწყვეტის შედეგად არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში, ასევე შშმ პირთა ან/და მათი წარმომადგენელი და შშმ პირთა სერვისის პროვაიდერი ორგანიზაციები.

წესი ასევე ადგენს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სახეებს, რომლის თანახმადაც ქვეპრორგამის კომპონენტებს მიეკუთვნება შშმ პირებში კულტურულ - შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელების, მათი განათლებისა და შემეცნებითი აქტივობების ხელშეწყობა, ასევე შშმ პირების სხვა საჭიროებების უზრუნველყოფა.

წესში მოცემულია ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღების პროცედურა, რომლის მიხედვითაც ქვეპროგრამით მოსარგებლე პირმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა განცხადებით/საპროექტო განაცხადით უნდა მიმართოს ქვეპროგრამის

განამხორციელებელს და წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო განცხადების/საპროექტი განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასმახურის მიერ გაიცემა არამატერიალიზებული ვაუჩერი ან ფორმდება ხელშეკრულება.

წესის მე-9 მუხლის თანახმად, კი ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ხდება შემთხვევათა მონიტორინგი, რომლის დროსაც ხორციელდება ქვეპროგრამის მოსარგებლესთან სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენლის ვიზიტი და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, საჭიროებისამებრ, ШШ პირთან გასაუბრება, ხოლო მომსახურება ანაზღაურებას არ ექვემდებარება თუ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ქვეპროგრამით მოსარგებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები და ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება არ ემთხვევა შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმენტაციაში წარმოდგენილ ინფორმაციას.

წესის თანახმად, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებისათვის, შესრულებულ სამუშაოზე ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც უნდა მოიცავდეს წესით დადგენილ რეკვიზიტებს.

წესის გარდამავალი დებულების თანახმად კი, ამ დადგენილების მიღებამდე არსებული ურთიერთობების ფარგლებში, მოსარგებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაო ანაზღაურდება დადგენილების ამოქმედებამდე, მოქმედი წესის მიხედვით.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, ძალადაკარგულად ცხადდება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის №4-14 დადგენილება.

აღნიშნული ქვეპროგრამების დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით.

წარმოდგენილ ცვლილებათა პაკეტს დაეთანხმა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის“ ქვეპორგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე